



ბიზნესის სკოლა (ESM)

პროგრამის სახელწოდება

ბიზნესის ადმინისტრირება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

სწავლების მოცულობა კრედიტებით

240 ECTS

სწავლების ენა

ქართული

საბაკალავრო პროგრამის მიზანი

ბიზნესი დინამიური ორგანიზმია, რომელიც სწრაფად ცვალებად გარემოში ფუნქციონირებს. ინტენსიური კონკურენცია, ღია, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ბაზრების გამოწვევები მაღალ სტანდარტებსა და შესაბამის მოთხოვნებს აწესებს პროცესში ჩართული საბაკალავრო განათლების მქონე პროფესიონალების მიმართ, რომელთაც, როგორც:

- ა) სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში და მართვაში მონაწილეობის,
- ბ) ისე ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღების და მართვის უნარები უნდა გააჩნდეთ. ასევე შეძლონ
- გ) სიტუაციის ანალიზში მონაწილეობა, დასმული ამოცანების გადაწყვეტა და ბიზნეს-პროექტების მართვა.

თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ისეთი პროფესიონალები, რომლებიც შეძლებენ:

- ცვალებად გარემოში სწრაფად ადაპტირებას, გამოწვევების იდენტიფიცირებას და დროულ რეაგირებას,
- სიახლეებისადმი სწრაფვას,
- კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას,
- მუდმივად ჰქონდეთ მზაობა და უნარი თვითგანვითარებისთვის.
- როგორც ადამიანებთან, ასევე მართვის ტექნოლოგიებთან პროფესიონალურ



ურთიერთობას და მართვის ტექნიკების გამოყენებას.

ამისათვის, პროგრამა უზრუნველყოფს პირობებსა და გარემოს, მიაწოდებს შესაბამის რესურსს, რომ სტუდენტებმა შეიძინონ როგორც აკადემიური და ტექნიკური, ასევე პიროვნული უნარ-ჩვევები ბიზნესში პროფესიული კარიერის დასაწყებად და გასავითარებლად.

შესაძლო დასაქმების სფეროები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ ფინანსების, დაზღვევის, მარკეტინგის, ადამიანური რესურსის, ოპერაციების, ტექნოლოგიური პროდუქტების, ანალიტიკურ, განვითარებისა და მსგავს ფუნქციონალურ სფეროებში-ანალიტიკაში და მენეჯმენტში.

კურსდამთავრებულებს ექნებათ საწყისი უნარები ბიზნეს-წამოწყებისათვის (start-up), საკუთარი მცირე ბიზნესის მართვისა და საინვესტიციო/პარტნიორული ურთიერთობისათვის.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო პროგრამით სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში.

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;



ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები (კომპეტენციები)

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ზოგადი კომპეტენციები

- კრიტიკული ანალიზისა და მსჯელობის უნარი
- პროფესიული კომუნიკაციის უნარი კომპანიის შიგნით და პარტნიორებთან
- პროფესიული წერისა და კომუნიკაციის უნარი
- უცხო ენაზე (ინგლისური) პროფესიული წერისა და კომუნიკაციის უნარი
- უცხო და ცვალებად გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი
- ჯგუფში მუშაობის უნარი
- ამოცანების დასმის, იდენტიფიცირებისა და გადაჭრის გზების დასახვის უნარი



- პრეზენტაციის, არგუმენტაციის და პოლემიკის უნარი
- სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი
- შეუძლია მსჯელობა და საკუთარი აზრის ჩამოყალიბება თანამედროვე, ცოცხალ და არაცოცხალ სამყაროზე, ძირითად ეკონომიკურ კანონებზე, სამართლის პრინციპებზე, თანამედროვე პოლიტიკურ იდეოლოგიებზე, ინტერკულტურულ ურთიერთობებზე, ფილოსოფიური იდეების ისტორიასა და მათ თანამედროვეობაში გამოყენებაზე, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და ანთროპოლოგიის ძირითად მიმართულებებსა და მეთოდებზე
- აქვს მათემატიკური, ლოგიკური აზროვნების ზოგადი კულტურა
- შეუძლია მათემატიკური მეთოდების გამოყენება

დარგობრივი კომპეტენციები

- ესმის ბიზნესის ბუნება, იცის ბიზნეს-საქმიანობის სფეროები, შესაძლებლობები, შეზღუდვები და გამოწვევები
- იცნობს ბიზნეს-გარემოს და მასზე ზეგავლენის მქონე ფაქტორებს
- ესმის ბიზნეს-გარიგებების ბუნება და იცის მისი თანმდევი პროცესები
- იცის და შეუძლია ბიზნესის დამხარე ინსტრუმენტების გამოყენება, როგორებიც არის სტატისტიკური მეთოდები, ფინანსური აღრიცხვა, ექსელი, მონაცემთა ანალიზი, მოლაპარაკებებისა და ლიდერობის საბაზო ტექნიკები, გადაწყვეტილების მიღების საბაზო მეთოდები
- აქვს ბიზნესის ძირითადი ინსტრუმენტების ცოდნა, როგორებიც არის ფინანსური ანალიზი, კორპორაციის ფინანსები, მარკეტინგის მენეჯმენტი, სტრატეგიული და ადამიანური რესურსის მენეჯმენტი, ოპერაციების მენეჯმენტი, მენეჯერული აღრიცხვა, პროექტების მენეჯმენტი
- აქვს ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების ცოდნა, როგორებიც არის ფინანსები, მარკეტინგი, ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მენეჯმენტი
- ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას
- აქვს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარი.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამით მიღწეული შედეგები შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში, პირველი საფეხურისთვის განსაზღვრულ ექვს კრიტერიუმს.



ცოდნა და გაცნობიერება

- კურსდამთავრებულს ეცოდინება ფინანსური აღრიცხვის ძირითადი პრინციპები, კონცეფციები, ეტაპები და ტერმინები
- კურსდამთავრებულს ეცოდინება გადასახადის სახეები საქართველოს საგადასახადო სისტემის შესაბამისად
- კურსდამთავრებულს ეცოდინება თანამედროვე ეკონომიკური თეორიები
- კურსდამთავრებულს ეცოდინება მიკროეკონომიკის და მაკროეკონომიკის პრინციპები
- კურსდამთავრებულს ეცოდინება ფინანსური თეორიები და ფინანსების მართვის პრაქტიკული მეთოდები
- კურსდამთავრებულს გაცნობიერებული ექნება ფინანსური ბაზრების მუშაობის პრინციპები და მათი როლი ბაზარზე
- კურსდამთავრებულს ეცოდინება ბიზნესის სამართლის ძირითადი პრინციპები
- კურსდამთავრებულს ეცოდინება მენეჯერის ძირითადი საქმიანობა და ფუნქციები, მენეჯმენტის თანამედროვე პარადიგმები
- კურსდამთავრებულს ეცოდინება ინდივიდებისა და ჯგუფების მართვის ძირითადი პრინციპები
- კურსდამთავრებულს ეცოდინება პროექტების მართვის, ოპერაციების დიზაინის, დაგეგმვისა და გაუმჯობესების კონცეფციები და ტექნიკები
- კურსდამთავრებულს ეცოდინება მარკეტინგის თეორია, კონცეფცია და პრინციპები
- კურსდამთავრებულს გაცნობიერებული ექნება ბიზნეს-გარიგებებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი და მომხმარებლების ქცევაზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები
- კურსდამთავრებულს ეცოდინება საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების ძირითადი პრინციპები

კონცენტრაციების შესაბამისად:

- კურსდამთავრებულს ეცოდინება ფინანსების მენეჯმენტის, როგორც ბიზნესის ფუნქციონალური სფეროს და კომპლექსური ინსტრუმენტის მნიშვნელოვანი პრინციპები და მეთოდები
- კურსდამთავრებულს ეცოდინება მარკეტინგის მენეჯმენტის, როგორც ბიზნესის ფუნქციონალური სფეროს და კომპლექსური ინსტრუმენტის მნიშვნელოვანი პრინციპები და მეთოდები
- კურსდამთავრებულს ეცოდინება ოპერაციების მენეჯმენტის, როგორც ბიზნესის ფუნქციონალური სფეროს და კომპლექსური ინსტრუმენტის მნიშვნელოვანი



პრინციპები და მეთოდები

- კურსდამთავრებულს ეცოდინება ტექნოლოგიური კომპანიების პროცესებისა და პროდუქტების მართვის მნიშვნელოვანი პრინციპები და მეთოდები

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- კურსდამთავრებულს შეეძლება ძირითადი ფინანსური ანგარიშგებების შედგენა
- კურსდამთავრებულს შეეძლება გადასახადების გამოთვლა და დეკლარირება
- კურსდამთავრებულს შეეძლება მიკროეკონომიკური და მაკროეკონომიკური გარემოს და მონაცემების ანალიზი და კონტექსტუალიზაცია
- კურსდამთავრებულს შეეძლება ბიზნეს-გარიგებებში მონაწილეობა
- კურსდამთავრებულს შეეძლება ბიზნეს-იდეების პროექტებად გარდაქმნა
- კურსდამთავრებულს შეეძლება ბიზნეს-გარიგებების ტაქტიკის დაგეგმვაში მონაწილეობა
- კურსდამთავრებულს შეეძლება საინვესტიციო პროექტების შეფასებაში მონაწილეობა
- კურსდამთავრებულს შეეძლება მომხმარებლის ქცევაზე ორიენტირებული მარკეტინგული სტრატეგიისა და ტაქტიკის დაგეგმვასა და შეფასებაში მონაწილეობა
- კურსდამთავრებულს შეეძლება ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების დაგეგმვა, განხორციელებასა და კონტროლის პროცესში მონაწილეობა
- კურსდამთავრებულს შეეძლება იურიდიული პრობლემის ამოცნობა
- კურსდამთავრებულს შეეძლება რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენება
- კურსდამთავრებულს შეეძლება ბიზნეს-იდეის დამუშავებასა და ბიზნეს-გეგმის მომზადების პროცესში მონაწილეობა
- კურსდამთავრებულს შეეძლება პროექტის მენეჯმენტის სრული ციკლის განხორციელებაში მონაწილეობა და ცალკეული ელემენტების მართვა

კონცენტრაციების შესაბამისად:

- კურსდამთავრებულს შეეძლება ფინანსების მენეჯმენტის კომპლექსურ პროცესში მონაწილეობის მიღება და შესაბამისი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება
- კურსდამთავრებულს შეეძლება მარკეტინგის მენეჯმენტის კომპლექსურ პროცესში მონაწილეობის მიღება და შესაბამისი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება
- კურსდამთავრებულს შეეძლება ოპერაციების მენეჯმენტის კომპლექსურ



- პროცესში მონაწილეობის მიღება და შესაბამისი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება
- კურსდამთავრებულს შეეძლება ტექნოლოგიური კომპანიების პროცესებისა და პროდუქტების მართვის პროცესში მონაწილეობის მიღება

დასკვნის უნარი

- კურსდამთავრებულს შეეძლება მიკრო და მაკროეკონომიკური თეორიების ბაზრის ანალიზისა და მენეჯერული გადაწყვეტილებებისათვის გამოყენება
- კურსდამთავრებულს შეეძლება ფინანსური და საგადასახადო რისკების იდენტიფიცირება და შეფასება
- კურსდამთავრებულს შეეძლება ფინანსური ინფორმაციის გაანალიზება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება
- კურსდამთავრებულს შეეძლება ბიზნესის ანალიზი ფართო სპექტრის საინვესტიციო თუ საკრედიტო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში
- კურსდამთავრებულს შეეძლება მარკეტინგული კვლევის შედეგების გაანალიზება, შესაბამისი მარკეტინგული სტრატეგიისა და გადაწყვეტილებების დაგეგმვისათვის
- კურსდამთავრებულს შეეძლება არჩეული კონცენტრაციის მიხედვით შესაბამისი მეთოდების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისათვის დასკვნების გამოტანა

კომუნიკაციის უნარი

- კურსდამთავრებულს შეეძლება პროფესიული კომუნიკაცია კოლეგებთან და პარტნიორებთან
- კურსდამთავრებულს შეეძლება ქართულ და უცხო ენაზე (ინგლისური) კომუნიკაცია
- კურსდამთავრებულს შეეძლება გუნდში მუშაობა
- კურსდამთავრებულს შეეძლება თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება
- კურსდამთავრებულს შეეძლება კონფლიქტური სიტუაციების მართვასა და მოლაპარაკებების პროცესში მონაწილეობა
- კურსდამთავრებულს შეეძლება ინტერპერსონალური ურთიერთობების მართვა
- კურსდამთავრებულს შეეძლება ფინანსური, მარკეტინგული, თუ სხვა მენეჯერული ანგარიშის მომზადება და წარდგენა
- კურსდამთავრებულს შეეძლება ინვესტორებთან კომუნიკაციის პროცესში მონაწილეობა
- კურსდამთავრებულს შეეძლება მოლაპარაკებების პროცესში მონაწილეობა
- კურსდამთავრებულს შეეძლება იდეების და პროექტების პრეზენტაცია, არგუმენტაციის გაზიარება და პოლემიკა



სწავლის უნარი

- კურსდამთავრებულს შეეძლება სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლება
- კურსდამთავრებულს შეეძლება უცხო გარემოში ადაპტირება და მოქმედება
- კურსდამთავრებულს შეეძლება შესაბამისი რესურსებისა და წყაროების მოძიება

ღირებულებები

- კურსდამთავრებული გააცნობიერებს თავისუფალი ბაზრის იდეებს
- კურსდამთავრებული გაიაზრებს საკუთრების უფლების პრიმატის პრინციპს
- კურსდამთავრებული გაიაზრებს ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებს
- კურსდამთავრებული დააფასებს განსხვავებებსა და კულტურულ მრავალფეროვნებას
- კურსდამთავრებულს ექნება პროფესიული პასუხისმგებლობა
- კურსდამთავრებულს გააცნობიერებული ექნება ბიზეს- და კორპორატიული ეთიკის პრინციპები

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, როგორც წესი, გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური, ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წიგნზე და დოკუმენტებზე მუშაობის მეთოდი. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მოსაზრების ჩამოყალიბება; დემონსტრირების მეთოდი; პრაქტიკული მეთოდები; დისკუსია/დებატები/პრეზენტაციები; ჯგუფური მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; თანამშრომლობითი სწავლება; სამაგალითო შემთხვევის ანალიზი; გონებრივი იერიში; როლური და სიტუაციური თამაშები დემონსტრირების მეთოდი; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

მეთოდები გამოიყენება ლექციის, სემინარის, თუ პრაქტიკული მეცადინეობების დროს.

ლექტორი, აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, უფლებამოსილია სასწავლო პროცესში დააკონკრეტოს და გამოიყენოს ისეთი მეთოდები, რომელიც არის



პროგრამაში, ან არ არის მითითებული ან/და, სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე, არ გამოიყენოს პროგრამაში მითითებული სწავლისა და სწავლების რომელიმე მეთოდი.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან გადალახა შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვრები და მიიღო ერთ-ერთი დადებითი შეფასება.

3. არსებობს ხუთი სახის დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81%-90%;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71%-80%;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61%-70%;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51%-60%.

4. არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41%-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი

მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება როგორც მაფორმირებელი ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები. ესენია: საშინაო დავალებები, პრაქტიკული სამუშაოები, ტესტები, ზეპირი და წერილი გამოცდა, პრეზენტაცია, ესეები, პროექტები და სხვა.



სასწავლო გეგმა (კურიკულუმი)

კურიკულუმი შედგება რამდენიმე კომპონენტისაგან-მოდულისაგან:

კომპონენტი	ECTS
საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების საგნები	50
ბიზნესის ზოგადი განათლების საგნები	34
ბიზნესის საბაზო განათლების საგნები	27
ბიზნესის პრაქტიკული განათლების საგნები	13
ბიზნესის ძირითადი განათლების საგნები	69
ბიზნესის შესაბამისი კონცენტრაციის საგნები	32
ბიზნესის არჩევითი საგნები	15

კურიკულუმი და სემესტრული გეგმა თან ახლავს დოკუმენტს.